პროგრამის მიზანი

სტუდენტების დახმარების პროგრამის მიზანია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის აღწერილობა

პროგრამის ფარგლებში 2009, 2010, 2011 და 2012 წელს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიიღებენ დაფინანსებას. დაფინანსება გაიცემა სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ სემესტრის მიხედვით. დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა წლის განმავლობაში შეადგენს 2500 ლარს.

გაფრთხილება: სტუდენტების დახმარების მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში არ მოხდება სტუდენტის სწავლის საფასურის დავალიანებების დაფარვა.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს სტუდენტმა, რომელიც

* ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხნენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე

* ბოლო 6 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კატეგორიები

სტუდენტების დახმარების პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება გაიცემა შემდეგი კატეგორიის სტუდენტებზე:

* სტუდენტები მაღალმთიანი აჭარიდან: ქედა, შუახევი, ხულო

* მრავალშვილიანი ოჯახის წევრი: სამი ან მეტი შვილი

* დედით ან მამით ობოლი, უდედმამო

* სოციალურად დაუცველი: 100 000 ქულა ან ნაკლები

საბუთების მიღების ვადა

2009, 2010, 2011 წელს ჩარიცხულმა სტუდენტებმა საბუთები უნდა წარმოადგინონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში 2012 წლის 1 აგვისტოდან 20 აგვისტოს ჩათვლით.

2012 წელს ჩარიცხული სტუდენტებისათვის საბუთების მიღების ვადა განისაზღვრება მოგვიანებით.

<u>შერჩევის კრიტერიუმები</u>

იმ სტუდენტის მონაცემები, რომელიც ერთდროულად განეკუთვნება ამ პროგრამით გათვალისწინებულ რომელიმე კატეგორიას, დაფინანსების მოსაპოვებლად განიხილება პირველი კატეგორიის მიხედვით, ხოლო შემდგომ ამ პროგრამით განსაზღვრული სხვა კატეგორიების ფარგლებში თანმიმდევრობის მიხედვით.

სტუდენტი, რომელიც განეკუთვნება ამ პროგრამით განსაზღვრული კატეგორიებიდან ორ ან მეტ კატეგორიას, დაფინანსებას მოიპოვებს ერთ-ერთ კატეგორიაში პროგრამით განსაზღვრული თანმიმდევრობის მიხედვით.

თუ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ პროგრამით გათვალისწინებულ კატეგორიაში შემავალი 2009, 2010 და 2011 წელს ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა (შემდგომში - დასაფინანსებელი სტუდენტი), რომლებიც მონაწილეობენ ამ პროგრამაში, აღემატება ამ კატეგორიისათვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობას, თანხა გაიცემა სტუდენტის წინა სემესტრის (მაგალითად, 2011 წელს ჩარიცხული სტუდენტებისათვის გამოყენებულ იქნება 2011-2012 სასწავლო წლის მეორე სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების ქულა) საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის საფუძველზე.

თუ სტუდენტის წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი ქულა, თანხა გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულების ჯამით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე რეიტინგის მიხედვით. თუ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი აბსოლუტური ქულების ჯამი, აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაფინანსება გაიცემა ქვემოთ მოცემული კრიტერიუმებით, შემდეგი თანმიმდევრობის დაცვით:

1. ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ზოგადი უნარების გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად
2. ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად
3. ერთიან ეროვნულ გამოცდაზე უცხოური ენის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად

თუ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ პროგრამით გათალისწინებული კატეგორიების მიხედვით დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა ნაკლებია კატეგორიის მიხედვით განსაზღვრულ რაოდენობაზე, დარჩენილი რაოდენობა დაემატება სხვა კატეგორიას თანმიმდევრობის დაცვით.

თუ ამ პროგრამით გათვალსიწინებული თანხა სრულად არ გაიცა ამ პროგრამით გათვალისწინებული კატეგორიების მიხედვით დარჩენილი თანხა გადანაწილდება კატეგორიების თანმიმდევრობის დაცვით სხვა კატეგორიებში.

<u>სამინისტროში</u> <u>წარმოსადგენი</u> <u>დოკუმენტები</u>

სტუდენტები მაღალმთიანი აჭარიდან - დაფინანსდება 30 სტუდენტი

2009, 2010, 2011 წელს ჩარიცხულმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს

- განცხადება
- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი
- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
- ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამის სკოლაში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ
- ცნობა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის წინა სემესტრის საშუალო შედეგების შესახებ
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი სტუდენტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ
- აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის ჩარიცხვის, სწავლის საფასურისა და სახელმწიფო გრანტის შესახებ

დედით, მამით ან დედმამით ობოლი სტუდენტები - დაფინანსდება 10 სტუდენტი

2009, 2010, 2011 წელს ჩარიცხულმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს

- განცხადება
- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი
- დაბადების მოწმობის ასლი
- მშობლის/მშობლების გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
- ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამის სკოლაში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ
- ცნობა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის წინა სემესტრის საშუალო შედეგების შესახებ
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი სტუდენტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ
- აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის ჩარიცხვის, სწავლის საფასურისა და სახელმწიფო გრანტის შესახებ

სტუდენტები მრავალშვილიანი ოჯახებიდან: სამი შვილი ან მეტი - დაფინანსდება 10 სტუდენტი

2009, 2010, 2011 წელს ჩარიცხულმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს

- განცხადება
- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი
- განმცხადებლისა და მისი დაძმების დაბადების მოწმობების ასლები
- ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამის სკოლაში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ
- ცნობა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის წინა სემესტრის საშუალო შედეგების შესახებ
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი სტუდენტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ
- აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის ჩარიცხვის, სწავლის საფასურისა და სახელმწიფო გრანტის შესახებ

სტუდენტები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან: 100000 ქულა ან ნაკლები - დაფინანსდება 60 სტუდენტი 2009, 2010, 2011 წელს ჩარიცხულმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს

- განცხადება
- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი
- დაბადების მოწმობის ქსერო ასლი
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობის ასლი, რითაც დასტურდება რომ სტუდენტი ეკუთვნის სოციალურად დაუცველ ოჯახს. ცნობა გაცემული უნდა იყოს აღნიშნული პროგრამის სააპლიკაციო ვადის ფარგლებში (2012 წლის 1-20 აგვისტო).
- ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამის სკოლაში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი სტუდენტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ
- აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის ჩარიცხვის, სწავლის საფასურისა და სახელმწიფო გრანტის შესახებ